კონკურსანტთა საყურადღებოდ!

2019 წლის 2 მარტს, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსისთვის ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მიერ ორგანიზებული წერითი დავალება ბათილად იქნა ცნობილი. აღნიშნული ღონისძიებისას მონაწილეებს დაუფიქსირდათ ინტერნეტ-რესურსების გამოყენება, რაც ეწინააღმდეგება წერითი დავალების ჩატარების წესს.

კონკურსის ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპებიდან გამომდინარე, ფინანსთა სამინისტროს აკადემიამ გადაწყვიტა, რომ კონკურსის ეს ეტაპი განმეორებით ჩატარდეს.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის განმეორებითი წერითი დავალება განხორციელდება ქ. ბათუმში, 2019 წლის 25 მარტს, ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ბათუმის ფილიალში. მისამართი: ბაქოს ქ. N8 (ფინანსთა სამინისტროს აკადემიის შენობა).

I ჯგუფი (რეგისტრაცია დაიწყება 10:45 სთ წერითი დავალება - 11:00 სთ)
II ჯგუფი (რეგისტრაცია დაიწყება 13:45 სთ წერითი დავალება - 14:00 სთ)
III ჯგუფი (რეგისტრაცია დაიწყება 15:45 სთ წერითი დავალება - 16:00 სთ)

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ფინანსთა სამინისტროს აკადემიის საკონტაქტო პირს ვლადიმერ კვაჭანტირაძეს (599 082 082)